საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაჰილი

ლაჰილი, ხეობის ტიპის მყინვარი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ენგურის აუზში. სიგრძე 5,5 კმ, ფართ. 5,24 კმ ^{2}. მყინვარის ენა ეშვება 2220 მ-ზე. შედგება 2 ტოტისგან. მარჯვ. ტოტი დიდია, მარცხ. – პატარა და ყინულვარდნილს წარმოადგენს. საზრდოობს მწვ. ლაჰილის კალთებიდან ჩამონადენი მყინვარული ნაკადებით. ასაზრდოებს მდ. ხუმფრერს (ენგურის მარცხ. შენაკადი).